# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 12

“29” იანვარი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა №42-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა №42-ში (ნაკვეთი №37/023, საკადასტრო კოდი: №01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 27 იანვრის №21.39.49 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა №42-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქალაქ თბილისი, ღოღობერიძის ქუჩა N42 (ნაკვეთი N37/023, საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.115) | | | | | |
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინი ნომერი | ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | თამარ ბაღიაძე | 43001020919 | სართული 1 | 15.12 | 01.18.13.037.115.01.501 |
| 2 | ნონა ხორბალაძე | 01016008762 | სართული 1 | 80.59 | 01.18.13.037.115.01.508 |
| 3 | ნინო გაბელაია | 02001003235 | სართული 1 | 29.67 | 01.18.13.037.115.01.505 |
| 4 | ანზორი ცინცაბაძე | 01016007209 | სართული 1 | 29.53 | 01.18.13.037.115.01.504 |
| 5 | მაკა მაჭარაშვილი | 03001000134 | სართული 1 | 22.12 | 01.18.13.037.115.01.502 |
| 6 | თამაზ წინამძღვრიშვილი | 59001060683 | სართული 1 | 32.04 | 01.18.13.037.115.01.507 |
| 7 | გიორგი ხორბალაძე | 01017052948 | სართული 1 | 26.65 | 01.18.13.037.115.01.503 |
| 8 | მაია ფეიქრიშვილი | 01019063464 | სართული 1 | 11.42 | 01.18.13.037.115.01.500 |
| 9 | ნანული ქვლივიძე | 01817058913 | სართული 1 | 30.84 | 01.18.13.037.115.01.506 |